ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3852528

ნომერი: AR1580964

თარიღი : 28.02.2018

გაცემის თარიღი : 06.03.2018

გაცნობის თარიღი : 06.03.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჩაფიძე პ/ნ 18001022223
- ზესტაფონი,მეგობრობის5. ბინა 11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ვინაიდან კორექტირებული ფოტომონტაჟის მიხედვით სარეკლამო აბრას ემატება საყრდენი ბოძი, რომლის განთავსება ხდება მიწის ნაკვეთზე და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, წარმოსადგენია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა.

2. გაურკვეველია განმცხადებლის უფლებამოსილების საკითხი. სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. შესაბამისად, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაძლებელია უფლებამოსილი პირი (თქვენს შემთხვევაში შპს "ბ.ბ.ი."-ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ელგუჯა პაპალაშვილი) დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. თუ სამსახურს მომართავს მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით, ხოლო თუ სამუშაოებს ახორციელებს მესაკუთრე წარმოდგენილ იქნეს მოსარგებლის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთნ დაკავშირებით.

3. მეტი თვალსაჩინოებისათვის ატვირთეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ბოძის დატანით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.